**შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის**

**ბრძანება # 01-01/54**

**თბილისი** **"28" ივლისი, 2022 წ.**

**აკადემიური და პროფესიული ნიშნით აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 34-ე, 35-ე მუხლების, შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო, უნივერსიტეტის წესდების მე-5 მუხლის 5.6. და 5.7. პუნქტების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის შერჩევის წესის მე-2 თავის თანახმად, სამართლის, ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანის წარდგინებისა და ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის საბჭოს სხდომის 2022 წლის 20 ივლისის ოქმი N11 ამონაწერის და სამართლის ფაკულტეტის საბჭოს სხდომის 2022 წლის 13 ივლისის ოქმი #12 ამონაწერის საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ**

**2022 წლის 25 ივლისიდან გამოცხადდეს** ღია კონკურსი აკადემიური და პროფესიული ნიშნით აკადემიური თანამდებობების (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტის) დასაკავებლად **შემდეგ აკადემიურ თანამდებობებზე:**

**I. სამართალის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამზე 5 (ვაკანტური ადგილი)**

**კლასიფიკატორის შესაბამისი სწავლის ვიწრო სფერო -** სამართალი (042)
**კლასიფიკატორის შესაბამისი სწავლის დეტალური სფერო -** საჯარო სამართალი (0421.2.1)
**სასწავლო კურსი** - კონსტიტუციური სამართალი
**ვაკანტური ადგილი** - პროფესორი - აკადემიური ნიშნით - 1 საშტატო ერთეული

**კლასიფიკატორის შესაბამისი სწავლის ვიწრო სფერო -** სამართალი (042)
**კლასიფიკატორის შესაბამისი სწავლის დეტალური სფერო -** საჯარო სამართალი (0421.2.1)
**სასწავლო კურსი** - სამართლის ისტორია
**ვაკანტური ადგილი** - ასისტენტ - პროფესორი - აკადემიური ნიშნით - 1 საშტატო ერთეული

**კლასიფიკატორის შესაბამისი სწავლის ვიწრო სფერო** - სამართალი (042)
**კლასიფიკატორის შესაბამისი სწავლის დეტალური სფერო** - სისხლის სამართალი (0421.2.2)
**სასწავლო კურსი -** შედარებითი სისხლის სამართლი
**ვაკანტური ადგილი -** ასოცირებული პროფესორი - აკადემიური ნიშნით - 1 საშტატო ერთეული

**კლასიფიკატორის შესაბამისი სწავლის ვიწრო სფერო** - სამართალი (042)
**კლასიფიკატორის შესაბამისი სწავლის დეტალური სფერო** - სისხლის სამართალი (0421.2.2)
**სასწავლო კურსი -** სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი და კერძო)
**ვაკანტური ადგილი -** ასისტენტ-პროფესორი - აკადემიური ნიშნით - 1 საშტატო ერთეული

**კლასიფიკატორის შესაბამისი სწავლის ვიწრო სფერო** - სამართალი (042)
**კლასიფიკატორის შესაბამისი სწავლის დეტალური სფერო** - კერძო სამართალი (0421.2.3)
**სასწავლო კურსი -** სამოქალაქო სამართლი
**ვაკანტური ადგილი -** ასისტენტ-პროფესორი - აკადემიური ნიშნით - 1 საშტატო ერთეული

**II. ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა 4 (ვაკანტური ადგილი)**

**კლასიფიკატორის შესაბამისი სწავლის ვიწრო სფერო -** პერსონალური მომსახურებები (101)
**კლასიფიკატორის შესაბამისი სწავლის დეტალური სფერო** - მოგზაურობა, ტურიზმი და დასვენება - (1015 )
**ვაკანტური ადგილი** : პროფესორი - აკადემიური ნიშნით - 1 საშტატო ერთეული
ასოცირებული პროფესორი - აკადემიური ნიშნით - 1 საშტატო ერთეული
ასისტენტ-პროფესორი - პროფესიული ნიშნით - 2 საშტატო ერთეული

**III. ბიზნესის ადმინისტრირების (მარკეტინგი, მენეჯმენტი, ფინანსები) საბაკალავრო პროგრამა - 2 (ვაკანტური ადგილი)**
**კლასიფიკატორის შესაბამისი სწავლის ვიწრო სფერო -** ბიზნესი და ადმინისტრირება (041)
**კლასიფიკატორის შესაბამისი სწავლის დეტალური სფერო** - მენეჯმენტი და ადმინისტრირება (0413)
**ვაკანტური ადგილი:** ასოცირებული პროფესორი -აკადემიური ნიშნით - 1 საშტატო ერთეული
ასისტენტი- აკადემიური ნიშნით- 1 საშტატო ერთეული

**IV. ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა - 13 (ვაკანტური ადგილი)**
**კლასიფიკატორის შესაბამისი სწავლის ვიწრო სფერო -** სოციალური და ქცევითი მეცნიერებები (031)
**კლასიფიკატორის შესაბამისი სწავლის დეტალური სფერო** - ფსიქოლოგია 0313
**ვაკანტური ადგილი :** პროფესორი- აკადემიური ნიშნით - 4 საშტატო ერთეული
ასოცირებული პროფესორი- აკადემიური ნიშნით - 2 საშტატო ერთეული
ასოცირებული პროფესორი- პროფესიული ნიშნით - 4 საშტატო ერთეული
ასისტენტ-პროფესორი - აკადემიური ნიშნით - 2 საშტატო ერთეული
ასისტენტ-პროფესორი - პროფესიული ნიშნით - 1 საშტატო ერთეული

**V. ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამა - 5 (ვაკანტური ადგილი)**
**კლასიფიკატორის შესაბამისი სწავლის ვიწრო სფერო -** ჟურნალისტიკა და ინფორმაცია (032)
**კლასიფიკატორის შესაბამისი სწავლის დეტალური სფერო** - ჟურნალისტიკა და რეპორტიორობა (0321)
**ვაკანტური ადგილი :** ასოცირებული პროფესორი- აკადემიური ნიშნით - 3 საშტატო ერთეული
ასისტენტ-პროფესორი - პროფესიული ნიშნით - 2 საშტატო ერთეული

**1. აკადემიიური ნიშნით** კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, კონკურსანტმა უნდა დააკმაყოფილოს შემდეგი საკონკურსო კრიტერიუმები:

**1.1. პროფესორის აკადემიური თანამდებობისთვის**:

ა.) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება;
ბ) პირი, რომელსაც შესაბამისი სასწავლო კურსების თემატიკის მიმართულებით გამოქვეყნებული (ბოლო 5 წლის განმავლობაში) აქვს სამეცნიერო პუბლიკაციები ან არის მათი თანაავტორი;
გ) პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი სასწავლო კურსის (სილაბუსის) შემუშავების გამოცდილება;

**1.2. ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობისთვის:**

ა.) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება;

ბ.) პირი, რომელსაც შესაბამისი სასწავლო კურსების თემატიკის მიმართულებით გამოქვეყნებული (ბოლო 5 წლის განმავლობაში) აქვს სამეცნიერო პუბლიკაციები ან არის მათი თანაავტორი;

გ.) პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი სასწავლო კურსის (სილაბუსის) შემუშავების გამოცდილება.

**1.3. ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობისთვის:**

ა) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი;

ბ) პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი სასწავლო კურსის/კურსების თემატიკის მიმართულებით გამოქვეყნებული (ბოლო 5 წლის განმავლობაში) სამეცნიერო პუბლიკაცია/პუბლიკაციები ან არის მათი თანაავტორი;

გ) პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი სასწავლო კურსის (სილაბუსის) შემუშავების გამოცდილება.

1.4 **ასისტენტად** შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორი ან დოქტორანტი, რომელსაც აქვს შესაბამისი სასწავლო კურსის (სილაბუსის) შემუშავების გამოცდილება.

**2. პროფესიული ნიშნით** კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, კონკურსანტმა უნდა დააკმაყოფილოს შემდეგი საკონკურსო კრიტერიუმები:

**2.1. ასოცირებული პროფესორის** აკადემიურ თანამდებობაზე

ა) არანაკლებ მაგისტრის აკადემიური ხარისხი;

ბ) არანაკლებ 5 წლის სამუშაო გამოცდილება შესაბამის დარგში;

გ) პუბლიკაცია შესაბამისი მიმართულებით (გამოქვეყნებული ბოლო 5 წლის განმავლობაში);

დ) უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პედაგოგიური საქმიანობის არანაკლებ 3 წლის სამუშაო გამოცდილება;

ე) შესაბამისი სასწავლო კურსის (სილაბუსის) შემუშავების გამოცდილება.

**2.2. ასისტენტ-პროფესორის** აკადემიური თანამდებობისთვის:

ა.) არანაკლებ მაგისტრის აკადემიური ხარისხი;

ბ) არანაკლებ 3 წლის სამუშაო გამოცდილება შესაბამის დარგში;

გ) პუბლიკაცია შესაბამისი მიმართულებით (გამოქვეყნებული ბოლო 5 წლის განმავლობაში) ან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პედაგოგიური საქმიანობის არანაკლებ 1 წლის სამუშაო გამოცდილება.

**3. აკადემიური ნიშნით კონკურსანტმა საკონკურსოდ უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:**

ა) განაცხადი კონკურსში მონაწილეობის მისაღებად შესაბამისი დარგისა და აკადემიური თანამდებობის მითითებით, სასწავლო უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულ ფორმატში.

ბ) ავტობიოგრაფია (CV) (ელექტრონული ან/და ბეჭდური ფორმით), სასწავლო უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულ ფორმატში.

გ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

დ) კვალიფიკაციის დამადასტურებელი საგანმანათლებლო დოკუმენტის/დოკუმენტების ასლები (უცხოეთში მიღებული განათლების შემთხვევაში განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტი);

ე) პედაგოგიური გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაციის ასლები;

ვ) საკონკურსო თანამდებობის/დარგის ადეკვატური სამეცნიერო ნაშრომები, ან მათი ასლები (გამოქვეყნებული ბოლო 5 წლის განმავლობაში);

ზ) შესაბამისი სასწავლო კურსების/კომპონენტის სილაბუსები (ელექტრონული ვერსია);

თ) ცნობა ნასამართლობის შესახებ („უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არ შეიძლება დასაქმდეს „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლევი პირი ან/და პირი, რომელსაც იმავე კანონის საფუძველზე სასამართლომ ჩამოართვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება).

**4. პროფესიული ნიშნით კონკურსანტმა საკონკურსოდ უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:**

ა) განაცხადი კონკურსში მონაწილეობის მისაღებად შესაბამისი დარგისა და აკადემიური თანამდებობის მითითებით. სასწავლო უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულ ფორმატში.

ბ) ავტობიოგრაფია (CV) (ელექტრონული ან/და ბეჭდური ფორმით), სასწავლო უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულ ფორმატში.

გ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

დ) კვალიფიკაციის დამადასტურებელი საგანმანათლებლო დოკუმენტის/დოკუმენტების ასლები (უცხოეთში მიღებული განათლების შემთხვევაში განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტი);

ე) პროფესიული გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები;

ვ) ცნობა ნასამართლობის შესახებ („უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არ შეიძლება დასაქმდეს „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლევი პირი ან/და პირი, რომელსაც იმავე კანონის საფუძველზე სასამართლომ ჩამოართვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება).

**7. კონკურსის ეტაპები**

ა) კონკურსის პირველ ეტაპზე ხდება კონკურსანტთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საკონკურსო განაცხადით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმებას.

ბ) კონკურსის მეორე ეტაპზე ტარდება გასაუბრება, რას შეიძლება მოიცავდეს კონკურსანტის მიერ საჩვენებელი ლექციის ჩატარებას.

**8. კონკურსის შედეგების გასაჩივრების წესი**

ა) აკადემიურ კონკურსში მონაწილე კონკურსანტი უფლებამოსილია საკონკურსო კომისიის გადაწვეტილება გაასაჩივროს გადაწყვეტილების ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან სამი სამუშაო დღის ვადაში.

ბ) საჩივრებს განიხილავს რექტორის ბრძანებით შექმნილი სააპელაციო კომისია, დამტკიცებიდან ხუთი დღის ვადაში.

**9. კონკურსის ვადები**

ა) ღია კონკურსი ცხადდება **2022 წლის 28 ივლისიდან 29 აგვისტოს ჩათვლით.**

ბ) საბუთების მიღება იწარმოებს **2022 წლის 30 აგვისტოდან 03 სექტემბრის** ჩათვლით.

გ) კონკურსის პირველი ეტაპი საბუთების გადარჩევა ჩატარდება **2022 წლის 6—7 სექტემბერს.**

დ) კონკურსის მეორე ეტაპი საკონკურსო კომისიასთან გასაუბრება ჩატარდება **2022 წლის 8 -9 სექტემბერს** (გასაუბრების ზუსტი თარიღი და დრო კანდიდატს ეცნობება კონკურსის პირველი ეტაპის გავლის შემდეგ).
ე) კონკურს გავლილ მონაწილეთა სია გამოქვეყნდება **2022 წლის 09 სექტემბერს**
ვ) სააპელაციო განაცხადები მიიღება **2022 წლის 12,13,14 სექტემბერს.**
ზ) სააპელაციო განაცხადების განხილვა ჩატარდება **2022 წლის 15 სექტემბერს.**
თ) კონკურსის საბოლოო შედეგები გამოქვეყნდება **2022 წლის 16 სექტემბერს.**

10. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის სამსახურს აღნიშნული ბრძანების შესახებ განცხადება გამოაქვეყნოს სასწავლო უნივერსიტეტის ვებგვერდზე
11. დაევალოს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს კონკურსის შესახებ ინფორმაციის გავრცელება დასაქმების ვებგვერდზე.
12. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
13. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

**შპს გურამ თავართქილაძის სახელობის**
**თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის**

რექტორი, პროფესორი
გიორგი მათიაშვილი

კანცლერი
ელისო ელისაშვილი